

VEGA

სახელმძღვანელო: ბავშვები აეროპორტებში



ბავშვები რისკის ქვეშ ტრანზიტის პროცესში
მესაზღვრეთა სახელმძღვანელო



VEGA

სახელმძღვანელო: ბავშვები აეროპორტებში

ბავშვები რისკის ქვეშ ტრანზიტის პროცესში
მესაზღვრეთა სახელმძღვანელო

საზღვრის და სანაპირო დაცვის ევროპული სააგენტო

ევროპის მოედანი 6
00-844 ვარშავა, პოლონეთი
ტელ. +48 22 205 95 00
ფაქსი +48 22 205 95 01

frontex@frontex.europa.eu
www.frontex.europa.eu

© Frontex, 2015
ვარშავა, აგვისტო 2015

პროექტის ნომერი: 2015.4294

საბეჭდი ვერსია:

OPOCE კატალოგის ნომერი
TT-02-17-558-KA-C
ISBN 978-92-95213-48-7
doi:10.2819/1

PDF:

OPOCE კატალოგის ნომერი
TT-02-17-558-KA-N
ISBN 978-92-95213-55-5
doi:10.2819/507326

Frontex, in cooperation with its project partners WCO, IOM and ICMPD, is implementing the EU-funded Eastern Partnership IBM Capacity Building Project. The beneficiary institutions of the project are border and customs authorities of Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Moldova and Ukraine. The project started in year 2014 and will finish in 2017.

The main aim of the project is to facilitate movements of persons and goods in the region, while at the same time maintaining secure borders through the enhancement of inter-agency and international cooperation. The fight against corruption and the respect for human rights will be given the necessary attention.

Frontex-ი პროექტის პარტნიორებთან WCO, IOM და ICMPD, შეთანხმებით ანხორციელებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული აღმოსავლეთ პარტნიორობის IBM შესაძლებლობების ზრდის პროექტს. პროექტის ბენეფიციარი დაწესებულებები წარმოადგენენ სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის სასაზღვროს და საბაჟოს უფლებამოსილ პირებს. პროექტის 2014 წელს დაიწყო და დასრულდება 2017 წელს.

პროექტის მთავარი მიზანია რეგიონში პიროვნებათა და საქონლის მოძრაობის ხელშეწყობა და ამავე დროს უსაფრთხო საზღვრების შენარჩუნება, საერთაშორისო და დაწესებულებათა შორის თანამშრომლობის გაძლიერებით. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ადამიანთა უფლებების დაცვას სათანადო ყურადღება დაეთმობა.

This document is not to be taken as an official translation. It has been produced for information and working purposes in the framework of the EU funded project entitled "Eastern Partnership Integrated Border Management Capacity Building Project" led and coordinated by Frontex. Frontex bears no responsibility for any inaccuracies in the translation.

ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს ოფიციალურ თარგმანს. ეს არის საინფორმაციო და სამუშაო ხასიათის დოკუმენტი, რომელიც შექმნილია ევროკავშირის დაფინანსებული "აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის საზღვრის ინტეგრირებული მართვის ინსტიტუციური განვითარების პროექტის" ფარგლებში. პროექტს ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს "ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე თანამშრომლობის ევროპული სააგენტო" (Frontex). Frontex-ი არ არის პასუხისმგებელი თარგმანში არსებულ შესაძლო უზუსტობებზე.

შინაარსი

სახელმძღვანელოს გამოყენების წესი #5

წინასიტყვაობა #6

1. განმარტებები #9

- 1.1. ბავშვი #11
- 1.2. ბავშვები რისკის ჯგუფში ტრანზიტის პროცესში #11
- 1.3. ბავშვები თანმხლებ პირებთან ერთად #13
- 1.4. ბავშვები თანმხლები პირის გარეშე #14
- 1.5. განცალკევებული ბავშვები #14
- 1.6. ბავშვებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) #15
- 1.7. ბავშვთა კონტრაბანდა #17
- 1.8. ბავშვის საუკეთესო ინტერესები #18
- 1.9. დაცვა და ეროვნული რეფერალური მექანიზმი #20

2. პრაქტიკული რეკომენდაციები #21

- 2.1. შესავალი #23
- 2.2. ბავშვებთან მუშაობა #24
- 2.3. ბავშვთან ერთად ყოფნა სასაზღვრო შენობაში #27

3. თანმხლებ პირთან ერთად და განცალკევებული ბავშვები #29

- 3.1. შემონმების და კონტროლის პირველ ზოლზე #31
- 3.2. შემონმების მეორე ზოლი #35
- 3.3. სატრანზიტო ზონა და რეგისტრაცია ჩასხდომამდე #40
- 3.4. საბოლოო გადანაცვეტილება და რეფერალი #40



4. ბავშვები თანმხლები პირის გარეშე #43

- 4.1. შემონმების და კონტროლის პირველ ზოლზე #45
- 4.2. შემონმების მეორე ზოლზე #47
- 4.3. საბოლოო გადანყვეტილებები და რეფერალი #48

5. დამატებით ინფორმაცია #51

- 5.1. მონაცემთა შეგროვება #53
- 5.2. მონაცემთა დაცვა #53
- 5.3. მესამე ქვეყნების საკონსულოები #54
- 5.4. ავიახაზების პროცედურები თანმხლები პირის გარეშე ბავშვებისთვის #54

6. დაცვის და ეროვნული რეფერალური მექანიზმი #55

7. ლექსიკონი #61

სახელმძღვანელოს გამოყენების წესი

სახელმძღვანელოს რეკომენდაციები გამიზნულია მესაზღვრეთა ცოდნის ასამაღლებლად იმ ბავშვების (არასრულწლოვნების) შესახებ, რომლებმაც უნდა გადაკვეთონ ევროკავშირის საგარეო საპაერო საზღვარი, თანმხლებ პირებთან ერთად ან მათ გარეშე. სახელმძღვანელო ამარტივებს აეროპორტში ტრანზიტის პროცესში რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ამოცნობას, ამავდროულად უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას და აძლიერებს პრევენციულ ზომებს იმ დამნაშავეების წინააღმდეგ, რომლებიც ემუქრებიან ბავშვების კეთილდღეობას.

სახელმძღვანელოში გაწერილია შესასვლელ, სატრანზიტო და გასასვლელ პუნქტებზე კონტროლისას ჩასატარებელი ოპერატიული ღონისძიებები და ამასთანავე იგი არ ითვალისწინებს, ესწრება თუ არა ამ პროცესს ბავშვთა უფლებებისა და ბავშვთა დაცვის პროფილის მქონე ოფიცერი, რადგან ეს საკამოდ იშვიათი მოვლენაა. ინსტრუქციაში მოცემული მეთოდები ყველა ეტაპზე ითვალისწინებს და უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებებს და მხედველობაში იღებს როგორც მათ კონკრეტულ საჭიროებებს, ასევე მესაზღვრეთა სამსახურებრივ მოვალეობებს.

სახელმძღვანელო შექმნილია გამოცდილი მესაზღვრეებისთვის და მაქსიმალურად არის ორიენტირებული საზღვარზე ბავშვის ინტერესებისა და ბავშვის დაცვაზე.

ინსტრუქცია უნდა შეასრულოს:

- სასაზღვრო ადმინისტრაციამ მიმღები საზღვრის ეროვნული კანონებისა და უფლებამოსილების გათვალისწინებით;
- Frontex-ის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებები მოიცავს საზღვრის კონტროლის ყველა ეტაპს, სანამ არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, ისევ რეალურად არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბავშვი საფრთხეშია. შემდეგ ამოქმედდება რეფერალური მექანიზმი და სანყისი კვლევა ტრეფიკინგთან ბრძოლისა და რისკის ჯგუფში მყოფი



პირების, პირველყოფლისა კი ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გაძევების დაუშვებლობის პრინციპთან ერთად¹.

ყველა მონაწილე მესაზღვრეს შესაძლებლობა აქვს, წინამდებარე ინსტრუქციაში მოცემული თემის ირგვლივ შენიშვნები ან რეკომენდაციები გამოგზავნოს Frontex-ის ელექტრონულ მისამართზე:

VEGA.Children@frontex.europa.eu.

თემის ველში მიუთითეთ: 'VEGA-ს ბავშვთა სახელმძღვანელო, კომენტარები'.

წინასიტყვაობა

ბავშვები, მათი ასაკის და განვითარების დონიდან გამომდინარე, უფრო ხშირად ხვდებიან რისკის ჯგუფში, ვიდრე მრდასრულები. ბოლო 20 წლის განმავლობაში არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო კრიმინალური ქსელი უფრო დაიხვეწა. ბავშვების კონტრაბანდისა და ბავშვთა ტრეფიკინგის ფაქტების მუსტი მონაცემების დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ექსპერტთა უმრავლესობა ეთანხმება იმას, რომ ტრანსსასაზღვრო დანაშაულის ამ კატეგორიებში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება (გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC) 2012 წლის გლობალურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2007-დან 2010 წლამდე გამოვლენილი ტრეფიკინგის შემთხვევების 27% ბავშვებზე მოდის, მაშინ როდესაც 2003-2006 წწ. იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 20%-ს შეადგენდა).

1 გაძევება – ნიშნავს იმ პირთა გაძევებას, ვისაც უფლება აქვთ, მიიღონ ლტოლვილის სტატუსი. გაძევების დაუშვებლობის პრინციპი პირველად ნახსენებია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1951 წლის კონვენციის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (CRSR), 33(1)-ე მუხლში: “არცერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ გაასახლებს ან დააბრუნებს [ფრანკულად 'refouler'] ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილებისა და პოლიტიკური მრწამსის გამო”.

ევსროსტატის ბოლო სტატისტიკური მონაცემების თანახმად, რომელიც 2014 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა, ევროკავშირში დაფიქსირებული ტრეფიკინგის შემთხვევების მსხვერპლთა 17%-ის ასაკი 12-დან 17 წლამდე მერყეობს.

ამასთან ერთად, ყველა სახელმწიფოს გააჩნია ტრანსსასაზღვრო დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვების საკუთარი განმარტება და კატეგორიები.

ასეთ შემთხვევაში მესაზღვრის უპირველესი მოვალეობაა, გამოავლინოს განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები; ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მესაზღვრემ გადასცეს ბავშვი, მიუხედავად მისი ასაკისა, შესაბამის უწყებას და სამსახურს, რომელიც იზრუნებს ბავშვის შემდგომ დაცვასა და უსაფრთხოებაზე; ამავდროულად, მან უნდა გამოაშკარაოს და აღკვეთოს ორგანიზატორის, კონტრაბანდისტის და/ან ადამიანებით მოვაჭრის ქმედებები. ამ პროცესში შეგროვილ სადაზმურ მოწმობებს, ძირითად შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიციისთვის საერთაშორისო დანაშაულებრივ ქსელთან ბრძოლაში.

რთულია, ფეხდაფეხ მიჰყვე დამნაშავეებს და მათი მუშაობის მუდმივად ცვალებად მეთოდებს; რისკის ჯგუფში მყოფი ბავშვის გამოსავლენად განსაკუთრებული უნარ-ჩვევებია საჭირო, რისი დეფიციტიც შეიმჩნევა ევროკავშირის ზონაში შესასვლელ მრავალ გამტარ პუნქტზე. უფრო მეტიც, რისკის ჯგუფში მყოფ ბავშვებთან ქცევის წესი – რაც გულისხმობს მათთან ისეთ საუბარს, მიმართვის ფორმას და ქცევას, რომ არ დაირღვეს მათი ხელშეუხებლობა, უფლებები და ინტერესები – პრობლემური საკითხია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში და დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს ყველა სასაზღვრო სამსახურს.

მოცემული Frontex-ის სახელმძღვანელოს მიზანია, ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ძირითადი პროცესების ხელშეწყობა, რომელიც უშუალოდ ეხება ტრანზიტის პროცესში რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების გამოვლენას და შესაბამისი ორგანოსთვის მიმართვას. უამრავი კვლევა ჩატარებულია რისკის ჯგუფში მყოფი ბავშვების კეთილდღეობაზე, დაცვასა და შემდგომ მიმართვაზე, მაგრამ არცერთს არ გაუკეთებია პრაქტიკული რეკომენდაციების კონკრეტული ელემენტების შეთავაზება სამართალდამცავი სისტემისთვის.



არც ერთ მათგანს არ შეუთავაზებია ახალი მიდგომები სასაზღვრო საქმიანობაში მესაზღვრეებისთვის, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობენ აღნიშნულ პროცესებში და შესაბამისი კრიმინალური ორგანიზაციების დაშლაში.

სახელმძღვანელოს მთავარი ამოცანაა, კომპლექსური მიდგომისა და პრაქტიკულობის კუთხით უფრო ეფექტური გახადოს „ტრანზიტიის პროცესში ბავშვთა უსაფრთხოება“.

ევროპის წამყვანი ექსპერტების ცოდნისა და ათობით მესაზღვრის პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს შესასვლელი, სატრანზიტო და გასასვლელი პორტების კონტროლის ყველა ასპექტს არალეგალური მიგრაციის და ბავშვებთან დაკავშირებული ტრანსსასაზღვრო დანაშაულის შემთხვევებში.

შინაარსი მაქსიმალურად ადაპტირებულია მესაზღვრეებისთვის და მკაცრად გათვლილია სამართალდამცავ სტრუქტურებზე, თუმცა, ამავედროულად, მოიცავს ბავშვთა ხელშეუხებლობისა და დაცვის მოთხოვნების ყველა ასპექტს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო ძირითადად გათვლილია სასაზღვრო სამსახურებზე, ის საინტერესო იქნება აეროპორტისა და ავიანაზების პერსონალისთვის, რომელიც პასუხს აგებს თანმხლები პირების გარეშე მოგზაურ ბავშვებზე ფრენის დროს, აგრეთვე მიმღები ცენტრებისა და სხვა სახელმწიფო თუ კერძო სამსახურებისა და ორგანიზაციების პერსონალისთვის, რომლებმაც შეიძლება აღმოაჩინოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია რისკის ჯგუფში შემავალ ბავშვებთან დაკავშირებით.

1. განმარტებები



1. განმარტებები

სახელმძღვანელოს მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი განმარტებები.

1.1. ბავშვი

მოქმედი საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების და კანონმდებლობის შესაბამისად, ბავშვი არის ნებისმიერი პირი 18 წლის ასაკამდე, თუკი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სრულწლოვანება უფრო ადრე არ დგება.

პირობითად, ტერმინები „არასრულწლოვანი“ და „მოზარდი“ გამოიყენება 18 წელზე ნაკლები ასაკის ნებისმიერი პირის მიმართ. ავიახაზების უმრავლესობა ასევე 3 წლამდე ბავშვებს უწოდებს „მცირეწლოვანს“. რეალურად კი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას კონკრეტულად ვინ არის ამ ნაშრომის სუბიექტი და ტერმინებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

თუკი ბავშვის ასაკი უცნობია და არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის არასრულწლოვანია, მას უნდა მოეპყრონ ისე, როგორც ბავშვს, საჭიროების შემთხვევაში აღმოუჩინონ გადაუდებელი დახმარება, მხარდაჭერა და უზრუნველყონ დაცვა, ასაკის გამოკვლევის ჩატარებამდე (არასრულწლოვანთა პრეზუმფცია). შესაბამისი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია, ბავშვობის პრეზუმფციისა და ბავშვებზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება.

1.2. ბავშვები რისკის ჯგუფში ტრანზიტის პროცესში

ბავშვები, მათი ბუნებიდან გამომდინარე, უფრო დაუცველები არიან ვიდრე ზრდასრულები. ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით, ბავშვები სხვადასხვა ხარისხით არიან დამოკიდებული უფროსებზე. ზოგი ბავშვი ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მოგზაურობისას უფრო დაუცველია ვიდრე მისი სხვა თანატოლი. როცა მათ აკლიათ სათანადო მზრუნველობა და დაცვა, ან როცა მათი, როგორც ბავშვების, უფლებები იბღალეება, ისინი „რისკის ქვეშ მყოფ“ ბავშვებად ითვლებიან. ასეთი ბავშვები პრიორიტეტს წარმოადგენენ



მესაზღვრეებისთვის, თუმცა შესაბამისი დასკვნის გამოტანა ადვილი არ არის ამ სფეროში საკმაოდ გამოცდილი პროფესიონალებისთვისაც კი.

„ტრანზიტის პროცესში მყოფი ბავშვების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი“² შეთანხმდა ტერმინის „ბავშვი ტრანზიტის პროცესში“ განმარტებაზე. ჯგუფმა ჩამოაყალიბა საკმაოდ ფართო ცნება, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა წარმომავლობისა და ჩვევების მქონე ბავშვებს. განმარტება გულისხმობს შემდეგს: „ბავშვები, რომლებიც გადაადგილებიან სხვადასხვა მიზეზის გამო, საკუთარი ნებით თუ უნებლიედ, ქვეყნის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ, მშობლების ან პირდაპირი მეურვეების თანხლებით ან მათ გარეშე და რომელთა გადაადგილებამაც, ახალ შესაძლებლობებთან ერთად, ისინი, შესაძლოა, დააყენოს ეკონომიკური ან სექსუალური ექსპლუატაციის, შეურაცხყოფის, დაუდევრობის ან ძალადობის საფრთხის ქვეშ (ან გამარდოს ეს საფრთხე). რისკის ქვეს მყოფ ჯგუფში ბავშვები უმთავრესად ხვდებიან მიგრაციის შედეგად“.

რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები, უმეტეს შემთხვევაში, არიან ზრუნვასა და დაცვას მოკლებული და მათი ძირითადი საჭიროებანი და კეთილდღეობა (რაც მოიცავს საკვებს, სასმელ წყალს, ტანსაცმელს, თავშესაფარს, მედიკამენტებს და ა. შ.) უზრუნველყოფილი არ არის. შედეგად, მათ შესაძლოა ვერ გამოავლინონ სრულად საკუთარი ფიზიკური, სულიერი, ემოციური თუ სოციალური პოტენციალი. ამის გამო, ისინი განსაკუთრებით დაუცველები ხდებიან და იზრდება რისკი, რომ გახდებიან კრიმინალური კონტრაბანდისტული ან ტრეფიკინგის ქსელის ან თუნდაც საკუთარი ოჯახისა და მშობლების მსხვერპლი.

2 უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი „ბავშვები ტრანზიტის პროცესში“ დაარსდა 2011 წელს და აერთიანებს შემდეგ ორგანიზაციებს: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, "პლან ინტერნეიშენალ", ბავშვთა დახმარების ფონდი, საერთაშორისო ფედერაცია „TerredesHommes“ (ადამიანების პლანეტა), მომუშავე ბავშვთა და ახალგაზრდობის აფრიკული მოძრაობა, მესამე მსოფლიოში გარემოს განვითარების მექანიზმი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, გაეროს ბავშვთა დახმარების საერთაშორისო ფონდი და World Vision International “.

1. განმარტებები

რისკის ჯგუფში შედიან სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები, ობლები, ქუჩაში მცხოვრები ბავშვები, მშრომელი ბავშვები, ბავშვები, რომელთაც შეეხოთ შეიარაღებული კონფლიქტი და ბავშვი ჯარისკაცები, აივ-შიდსის ინფექციით დაავადებული ბავშვები, ბავშვები, რომლებსაც უწევს სექსუალურ ან სხვა სახის ექსპლუატაციას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. უსასრულოდ დიდია იმ მეთოდების რაოდენობა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ბავშვის მარგინალიზაცია, სტიგმატიზება და დისკრიმინაცია, სხვადასხვა საზოგადოებაში ეს მეთოდები სხვადასხვანაირია.

დიდია ბავშვთან დაკავშირებული საფრთხეების რაოდენობაც (კონტრაბანდა, ტრეფიკინგი, იძულებითი შრომა, იძულებითი მათხოვრობა ან სხვა დანაშაულებრივი ქმედებების იძულებით ჩადენა და ა.შ.) და რთულია მათი კატეგორიებად დაყოფა.

ბავშვების უმრავლესობა, ხშირ შემთხვევაში, ერთდროულად რამდენიმე საფრთხის ქვეშ შეიძლება მოექცეს, რაც ზრდის მათი დაუცველობის ხარისხს და ართულებს რისკის დონის გამოვლენას (რაც დამოკიდებულია დაუცველობისა და საფრთხის ხარისხზე). მაგალითად, ბავშვები თანმხლები პირების გარეშე ან განცალკევებული ბავშვები (იხ. 2.4 და 2.5 პუნქტები) განსაკუთრებით დაუცველებად ითვლებიან და დგანან ტრეფიკინგის, უხეში მოპყრობის, ძალადობის ან/და ექსპლუატაციის საფრთხის წინაშე.

ხშირ შემთხვევაში, ბავშვებს არ შესწევთ უნარი, გამართულად ისაუბრონ ან ნათლად გადმოსცენ აზრი (რასაც აღნიშნავს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)

1.3. ბავშვები თანმხლებ პირებთან ერთად

18 წლამდე პირები, რომლებსაც ახლავთ მინიმუმ ერთი მშობელი ან იურიდიული / არაოფიციალური მეურვე.



1.4. ბავშვები თანმხლები პირის გარეშე

ბავშვები თანმხლები პირების გარეშე, მათ ასევე უწოდებენ არასრულწლოვნებს თანმხლები პირების გარეშე ან შემოკლებით UAM, არიან ბავშვები, რომლებიც დააშორეს ორივე მშობელს და სხვა ნათესავებს ან პასუხისმგებელ ზრდასრულს და რომლებზეც არ ზრუნავს ვინმე უფროსი, არც კანონი, არც საბაჟო.

ბავშვები, რომლებიც დატოვეს ქვეყნის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ – თუნდაც მცირე დროით, მაგალითად, თვითმფრინავის დაჯდომიდან მათი აეროპორტის საემიგრაციო პუნქტთან მისვლამდე – აგრეთვე ითვლებიან ბავშვებად თანმხლები პირების გარეშე.

სავალდებულოა ამ ბავშვების დაცვა, რადგან მათზე არ ზრუნავს უფროსი, არც კანონი და არც საბაჟო.

1.5. განცალკევებული ბავშვები

"განცალკევებული" ეწოდებათ იმ ბავშვებს, რომლებიც დაშორებულნი არიან ან ორივე მშობელთან, ან იურიდიულ ან არაოფიციალურ მეურვესთან, მაგრამ არ არის აუცილებელი, სხვა ნათესავებს იყვნენ დაცვილებულნი. ასეთ შემთხვევებში ბავშვს შეიძლება თან ახლდეს ოჯახის სხვა ზრდასრული წევრები (მაგ. ბიძა, ბაბუა).

ყველა ბავშვს, განსაკუთრებით კი დაუცველს, რომლებიც არიან განცალკევებული ან თანმხლების გარეშე, უფლება აქვთ, მიიღონ უსაფრთხოების გარანტია. სავალდებულო ზომები მოიცავს: სათანადო იდენტიფიცირებას გამშვებ პუნქტზე მისვლისას ან როგორც კი შესაბამისი ორგანოებისთვის ცნობილი გახდება ქვეყანაში მათი ყოფნის შესახებ; დროულ რეგისტრაციას და ქვეყანაში საერთაშორისო დაცვის მექანიზმების მოქმედების გადამოწმებას (მათ შორის გაძევების დაუშვებლობის შესახებ), საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის წევრების მოძებნას, შესაძლებლობის შემთხვევაში მეურვის ან კანონიერი წარმომადგენლის დანიშნას; მათზე ზრუნვისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის ორგანიზებას; ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვის სერვისისა და მისაღები ცხოვრების დონის უზრუნველყოფას;

1. განმარტებები

საჭიროების შემთხვევაში ლტოლვილის სტატუსის მისაღებ პროცედურაზე გამარტივებული წვდომას; და გარანტირებულად ხელმისაწვდომ დაცვის დამატებით ფორმებს³.

დაუცველ ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი განსაკუთრებული სტატუსი, ისევე როგორც, ეროვნული და რეგიონალური სამართლებრივი ბაზა, კანონმდებლობა ლტოლვილთა შესახებ და საერთაშორისო პუმანიტარული და ადამიანთა უფლებების კანონმდებლობა. საემიგრაციო სამსახურის, პოლიციისა და სხვა შესაბამისი ორგანოების თანამშრომლები ბავშვებთან მუშაობისას უპირველეს ყოვლისა უნდა ხელმძღვანელობდნენ ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის პრინციპებით.

მიუხედავად ქვემოთ მოცემული კატეგორიებისა, ყველა ბავშვს აქვს უფლება, ითხოვოს თავშესაფარი და განისაზღვროს, დაზუსტდეს და უზრუნველყოფილ იყოს მისი საუკეთესო ინტერესები. თუკი ბავშვის ასაკი საფუძვლიან ეჭვს იწვევს, საჭიროა **ასაკის შეფასების ოფიციალური მექანიზმის პროცედურის ჩატარება**.

ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, საემიგრაციო საკითხები და სტატუსი არ შეიძლება იყოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უარის თქმის საფუძველი, აღნიშნული ვრცელდება ევროკავშირის ნევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლის და დარჩენის ნებართვაზეც.

1.6. ბავშვებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ევროკავშირის დირექტივების თანახმად, ექსპლოატაციის მიზნით ადამიანის, ამ შემთხვევაში კი ბავშვის სამუშაოზე აყვანა, ტრანსპორტირება, გადაცემა,

3 გაერთო ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი (UNCRC), ზოგადი კომენტარი No 6 (2005) თანხლები პირის გარეშე ან განცალკევებულ ბავშვებთან მოპყრობა მათი წარმომავლობის ქვეყნებს გარეთ.



თავშესაფრის მიცემა ან მიღება, მათ შორის ამ ბავშვებზე კონტროლის უფლების გაცვლა ან გადაცემა, ითვლება „ადამიანებით ვაჭრობად“⁴.

აღნიშნული ქმედების განხორციელება შესაძლებელია მუქარის ან ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენების, მოტაცების, თაღლითობის, მოტყუების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ან უმწეო მდგომარეობით სარგებლობის ან საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით, რომლის მიზანია იმ პირის თანხმობის მიღება, რომელიც ახორციელებს კონტროლს სხვა პირზე.

ტრეფიკინგი დირექტივების 2(5) მუხლში მკაფიოდ არის განსაზღვრული: თუ კრიმინალური ქმედების მიზანი არის ბავშვის ექსპლუატაცია, „ადამიანით ვაჭრობა“ დასჯადი დანაშაულია, მაშინაც კი, თუ ადგილი არ ჰქონდა არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევას.

ბავშვებით ვაჭრობა ეს მხოლოდ ტრანსსასაზღვრო დანაშაული არ არის. რამდენადაც დამნაშავეთა მიზანია ბავშვის ექსპლუატაცია, ბავშვებით ვაჭრობა ქვეყნის შიგნითაც არის შესაძლებელი.

ტრეფიკინგის შემთხვევაში ზოგ მსხვერპლ ბავშვს, შესაძლოა, სხვა საერთაშორისო სახის დაცვაც დასჭირდეს, მაგალითად თავშესაფრის მიღება. ბავშვებზე ვრცელდება „გაძევების დაუშვებლობის“ იგივე პრინციპი,

4 ევროპის პარლამენტის და საბჭოს 2011 წლის 5 აპრილის დირექტივა 2011/36/EU, ადამიანთა უკანონოდ ვაჭრობასთან ბრძოლისა და პრევენციის, ასევე მისი მსხვერპლთა დაცვის შესახებ, რომელმაც ჩაანაცვლა საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილება 2002/629/JHA (მუხლი 2(1)). მუხლი 2(3) განსაზღვრავს ექსპლუატაციის მიზანს „რაც მინიმუმ, გულისხმობს სხვა პირთა ექსპლუატაციას პროსტიტუციის მიზნით ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მათ შორის მათხოვრობას, მონობას ან სხვა მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებას, კატორღულ შრომას, კრიმინალური ქმედებებისთვის ექსპლუატაციას ან ორგანოების ამოღებას.“

1. განმარტებები

რაც ზრდასრულებზე. აღნიშნული უფლებები განერილია ევროკავშირის კანონმდებლობაში თავშესაფრის მიღების შესახებ⁵.

1.7. ბავშვთა კონტრაბანდა

ბავშვთა კონტრაბანდა ნიშნავს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით წვერი ქვეყნის ტერიტორიაზე ბავშვის არალეგალური შესვლის უზრუნველყოფას ფინანსური ან სხვა მატერიალური მოგების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიღების მიზნით, როდესაც ეს ბავშვი არ არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე ან მუდმივად მაცხოვრებელი⁶.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაული ძალიან ჰგავს ბავშვებით ვაჭრობას (ტრეფიკინგს), ეს ორი არ უნდა აგვერიოს.

- ტრეფიკინგის მიზანია ადამიანების ექსპლუატაცია და ითვლება დანაშაულებრივ ქმედებად კონკრეტული პირის მიმართ. კონტრაბანდის მიზანია საზღვარზე პირთა არალეგალურად გადაყვანა და მიიჩნევა დანაშაულად სახელმწიფოს სუვერენიტეტის წინაშე.
- ტრეფიკინგი გულისხმობს ადამიანების ექსპლუატაციას მათ ქვეყანაში ჩასვლის შემდეგ, მაშინ, როცა კონტრაბანდისტის მისია შესრულებულად ითვლება, როდესაც პირი მიაღწევს დანიშნულების ქვეყანას.
- ტრეფიკინგს შეიძლება ადგილი ქონდეს როგორც ქვეყნის საზღვარზე, ასევე მის ფარგლებში, ხოლო კონტრაბანდა ტრანსსაზღვრო დანაშაულია.

5 ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2011/95/EU, 2011 წლის 13 დეკემბერი, მესამე ქვეყნების მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარებად, ლტოლვილთა ერთიანი სტატუსის ან დამატებითი დაცვის მიღების უფლების მქონე პირებად კვალიფიცირების და მიღებული დაცვის არსის სტანდარტების შესახებ (ახალი ინტერპრეტაცია).

6 ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ“ ოქმის საფუძველზე (პალერმოს ოქმები 2000).



- ტრეფიკინგის შემთხვევაში ბავშვი ქვეყანაში ხვდება როგორც ლეგალური, ასევე არალეგალური გზით, ხოლო კონტრაბანდა საზღვრის არალეგალურ გადაკვეთას გულისხმობს.
- ზრდასრულების შემთხვევაში, ტრეფიკინგი იძულების ან/და მოტყუების შედეგია. კონტრაბანდის შემთხვევაში კი საპირისპიროდ, კონტრაბანდის ობიექტი კონტრაბანდისთან შეთანხმებულად მოქმედებს. თუმცა ბავშვების შემთხვევაში სიტუაცია რთულდება. გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი (UNCRC) არ უარყოფს ბავშვების ჩართულობას, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს დამოკიდებულია ბავშვის ასაკზე და განვითარების დონეზე. მეტიც, იურიდიული თვალსაზრისით, ბავშვის მიმართ გარკვეული ქმედებების განსახორციელებლად საჭიროა მშობლების თანხმობა. სხვადასხვა საკითხს, მათ შორის, ბავშვის განვითარების დონეს, ვითარების შემეცნებითი აღქმის უნარს და ა. შ. სჭირდება მეტი ყურადღება, განსაკუთრებით, როდესაც ეს ბავშვს ეხება. ინტერპოლის დაკვირვებამ აჩვენა, რომ ადამიანებით მოვაჭრეებს და კონტრაბანდისტებს მსგავსი მეთოდები აქვთ, ხშირად სამართალდამცავებისთვის რთულია ამ ორი დანაშაულის ერთმანეთისგან გარჩევა. უმრავლეს შემთხვევაში შეუძლებელია ტრეფიკინგისა და კონტრაბანდის გარჩევა ტრანსპორტირების ფაზის დასრულებამდე და ექსპლუატაციის ფაზის დაწყებამდე⁷.

კონტრაბანდის შემთხვევაში ბავშვებს, რომლებსაც შესაძლოა დასჭირდეთ საერთაშორისო დაცვა, აქვთ თავშესაფრის მოთხოვნის და გაძევების დაუშვებლობის პრინციპით სარგებლობის უფლება.

1.8. ბავშვის საუკეთესო ინტერესები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციაში ბავშვის უფლებათა შესახებ ნათქვამია: „ბავშვების მიმართ ყველა ქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა

⁷ ანგარიში 2010-2011წწ. ადამიანებით ვაჭრობისა და ადამიანთა კონტრაბანდის შესახებ, გამოქვეყნებული 2012 წლის მაისში.

1. განმარტებები

ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას⁸. ბავშვის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება არის უპირველესი პრინციპი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყველა მესაზღვრე. ბავშვის საუკეთესო ინტერესები ასევე უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში, რაც მოცემულია ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 24-ე თავში.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა⁹ განაცხადა, რომ „ბავშვის უპირველესი ინტერესები კომპლექსური საკითხია და მისი არსი უნდა განისაზღვროს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“. ბავშვის საუკეთესო ინტერესებს განსაზღვრავს ქვეყანაში ბავშვების არსებული უფლებების დამცველი კომპეტენტური ორგანო, რათა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდეს პრობლემის დროული გადაჭრა. მესაზღვრეს რთული მისია ეკისრება, რადგან ვალდებულია, განაცხადოს ყველა შემთხვევის შესახებ, როდესაც ბავშვს ემუქრება საფრთხე წინამდებარე სახელმძღვანელოს მიხედვით. ამისთვის საჭიროა ისეთი შესაძლებლობების ქონა, რაც მესაზღვრეებს ხშირ შემთხვევაში არ გააჩნიათ, განსაკუთრებით თუ გარე საზღვარზე რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის გამოსავლენად მხოლოდ რამდენიმე წუთი აქვთ, შესაბამისად, მესაზღვრეები კიდევ უფრო რთული ამოცანის წინაშე დგანან.

მნიშვნელოვანია, რომ მესაზღვრეებს მოქნილი მიდგომა ჰქონდეთ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ერთ კონკრეტულ შემთხვევაში დაუცველი ბავშვის ინტერესები შეიძლება არ იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული, როგორც ამავე სიტუაციაში აღმოჩენილი სხვა ბავშვის ინტერესები. გამოცდილ მესაზღვრეს ესმის, რომ არ არსებობს ორი ერთნაირი შემთხვევა და განსაკუთრებული ყურადღებითა და საფუძვლიანად უნდა მოეკიდოს ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა შემთხვევას. აუცილებელია ბავშვთან დაკავშირებული კონკრეტული სიტუაციის გადანწყვეტამდე მასზე რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვება.

8 გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტი (UNCRC), ზოგადი კომენტარი No 14 (2013).



1.9. დაცვა და ეროვნული რეფერალური მექანიზმი

ეროვნული რეფერალური მექანიზმი არის სისტემა და მექანიზმი, რომელიც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, კოორდინირებულად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით, დაიცვას და ხელი შეუწყოს ტრეფიკინგის მსხვერპლთა და სხვა რისკის ჯგუფში შემავალ პირთა უფლებებს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნული რეფერალური მექანიზმები პროცედურულად განსხვავდება, მაგრამ ყველას აერთიანებს ერთი მიზანი: რისკის ჯგუფში მყოფი პირების დროული რეფერირება იმ სამსახურში, რომელიც საუკეთესო დახმარებას აღმოუჩენს მას. ეროვნული რეფერალური მექანიზმი უფრო დეტალურად განხილულია მე-7 მუხლში, რაც მოიცავს რისკის ქვეშ მყოფ ყველა ბავშვს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრეფიკინგის საფრთხის ქვეშ მყოფი ბავშვებით.

2. პრაქტიკული რეკომენდაციები



2.1. შესავალი

სასაზღვრო შემონმება საუკეთესო შესაძლებლობაა მესაზღვრისთვის ტრანსსაზღვრო დანაშაულის პრევენციისთვის: როგორც კი მსხვერპლი დატოვებს აეროპორტის ტერიტორიას, დამნაშავის დაკავების და მისი ქმედებების აღკვეთის შესაძლებლობა, ისევე, როგორც მსხვერპლის პოვნისა და ბავშვის დაცვის ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა, მკვეთრად მცირდება. კიდევ რამდენი ბავშვი უნდა გახდეს მსხვერპლი, ამ დანაშაულებრივი ქსელის დაშლამდე?

ევროპოლის თანახმად, ევროკავშირში აეროპორტი ბავშვების ტრეფიკინგისა და კონტრაბანდის ყველაზე პოპულარული ადგილია. კონტრაბანდისტები და ბავშვებით მოვაჭრეები ირჩევენ აეროპორტებს, ყველაზე გავრცელებული მოქმედების მეთოდი მოიცავს სისტემისთვის თავის არიდებას ყალბი, ფალსიფიცირებული ან თაღლითობის გზით მოპოვებული დოკუმენტების მეშვეობით.

ცნობილია, რამდენად რთულია, გამოავლინო სასაზღვრო დანაშაული, რომელშიც ბავშვები არიან ჩართული. ასე მაგალითად, როგორც წესი, ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები მგზავრობისას მათთვის უცხო ზრდასრული პიროვნების ნამდვილ პასპორტში არიან დაფიქსირებული. იმ შემთხვევაშიც კი, როცა პასპორტში ჩაკრულია ბავშვის სურათი, რთულია მისი იდენტიფიცირება, რადგან ჯერ ჩამოუყალიბებელი სახეები გავს ერთმანეთს და ბავშვის ზრდასთან ერთად მისი სახე, თმა და თვალებიც კი რადიკალურად იცვლება. შედეგად მესაზღვრე, შესაძლოა, ვერ შეამჩნიოს, რომ ბავშვი და პასპორტის მფლობელი უფროსი ერთმანეთის ნათესავები არ არიან.

კონტრაბანდისტები და ბავშვებით მოვაჭრენი ცდილობენ ისარგებლონ პიკის საათით, როდესაც პასპორტ-კონტროლზე ყველაზე დიდი დატვირთვა მოდის. მესაზღვრეებმა უნდა გაითვალისწინონ ეს დანაშაულებრივი სქემა და უკეთ დაიცვან ბავშვები.

Frontex-ის მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის უკან ხშირ შემთხვევაში იმალება ადამიანთა კონტრაბანდის ან ადამიანებით ვაჭრობის ფაქტები. გარე საზღვარზე



ტრეფიკინგის ფაქტის გამოვლენა შემონმების ზრდის შედეგია, რაც გამართლებულია თუ საქმე ეხება ბავშვებს.

ტრანზიტის პროცესში რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ინფორმირებულობის ასამაღლებლად საჭიროა, აეროპორტში სხვა სამართალდამცავ ან არა-სამართალდამცავ სტრუქტურებთან, მათ შორის ავიახაზების პერსონალთან, ბავშვთა დაცვის სამსახურის მუშაკებთან და სხვა რისკის ჯგუფებთან მომუშავე პირებთან⁹ მყარი კავშირის დამყარება და შენარჩუნება. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს საკოორდინაციო შეხვედრები, ერთობლივი სასწავლო კურსები, შეიქმნას ერთობლივი ჯგუფები და ა. შ.

2.2. ბავშვებთან მუშაობა

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ბავშვების ფსიქოლოგია განსხვავდება უფროსებისგან, შესაბამისად, მათთან მუშაობისას ფრთხილი მიდგომაა საჭირო. ამასთანავე, ბავშვი შეიძლება არ ენდოს უცხო პირს, ასეთ შემთხვევაში ბავშვთან მომუშავე მოხელემ (სასურველია, ატარებდეს სამოქალაქო ტანსაცმელს) ყველა ზომა უნდა მიიღოს ბავშვის ნდობის მოსაპოვებლად.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბავშვებთან მუშაობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი:

- ◆ შექმენით მეგობრული გარემო (ეს შეიძლება იყოს ბავშვისთვის ადაპტირებული ოთახი¹⁰, ასეთის არსებობის შემთხვევაში), შეამცირეთ სხვაობა ძალებში (მოერიდეთ ოფიციალურობას, ყურადღება მიაქციეთ სხელის ენას, საუბრის ტონს, გამოყენებულ ტერმინებს და ა. შ.) და საშუალება მიეცით ბავშვს, შეეჩვიოს არსებულ გარემოს;

9 მათ შორის აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

10 გაითვალისწინეთ, რომ ცალკე გამოყოფილი ოთახი კარგია განმარტებისთვის, მაგრამ ასეთ ოთახში ბავშვი შესაძლოა შეშინდეს. ამიტომ შესაფერის ოთახად ითვლება მხოლოდ ასეთი შემთხვევებისათვის მომზადებული ოთახი.

2. პრაქტიკული რეკომენდაციები

- აუხსენით ბავშვს მუშაობის პროცესში ჩართული უფროს(ებ)ის როლი და საქმიანობა;
- ყოველთვის უთხარით სიმართლე;
- მოუსმინეთ ბავშვს;
- ისაუბრეთ მარტივ ენაზე და მოერიდეთ ტექნიკურ ტერმინოლოგიას (გაითვალისწინეთ ენობრივი ბარიერი);
- მოიქციეთ და ისაუბრეთ ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით;
- ეცადეთ, ბავშვმა თავი იგრძნოს კომფორტულად;
- მიბაძეთ ქცევის მანერაში (მაგ. შეინარჩუნეთ მხედველობითი კონტაქტი, იყავით იმავე დონეზე).

ბავშვებთან მუშაობის შესახებ ძირითადი ინფორმაცია მოცემულია მესამე მუხრების პრაქტიკულ სახელმძღვანელოში¹¹, სადაც წერია:

“მესამე მუხრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ არასრულწლოვნებს, მიუხედავად იმისა თანმხლებ პირთან ერთად მოგზაურობენ ისინი თუ არა.

თუ არასრულწლოვანი თანმხლებთან ერთად არის, მესამე მუხრებმა უნდა შეამოწმონ, რომ თანმხლებს აქვს თუ არა მშობლის მიერ მინიჭებული მეურვეობა, განსაკუთრებით თუ არასრულწლოვანს ახლავს მხოლოდ ერთი უფროსი და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის არაკანონიერად დააშორეს მეურვეობის მქონე პირს. აღნიშნულ შემთხვევაში მესამე მუხრებმა უნდა ჩაატარონ გამოძიება, რომ აღკვეთოს გატაცების ან არასრულწლოვნის არაკანონიერი გადაადგილების ფაქტი.

საჭიროა, თანმხლების გარეშე მოგზაური არასრულწლოვნების კარგად შესწავლა, მათი სამოგზაურო და ხელთარსებული დოკუმენტაციის დეტალური

11 კომისიის რეკომენდაცია, რომლის თანახმად მესამე მუხრებმა პრაქტიკული სახელმძღვანელო (შენგენის სახელმძღვანელო) საერთოა წევრი სახელმწიფოების შესაბამისი სტრუქტურებისათვის შესასრულებლად, სასამართლო კონტროლის პროცესში C (2006) 5186, ბოლო, ბრიუსელი, 6.10.2006.



შემონშება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი არ ტოვებენ ტერიტორიას მათზე მეურვეობის უფლების მქონე პირ(ებ)ის ნებართვის გარეშე“.

თუკი ეჭვი ჩნდება, რომ ადგილი აქვს მესაზღვრეთა პრაქტიკულ სახელმძღვანელოში ჩამოთვლილ რომელიმე შემთხვევას, მესაზღვრემ უნდა მიმართოს არასრულწლოვანთა კონსულტაციის ეროვნულ საკოორდინაციო ბიუროს.

მიუხედავად იმისა, რომ მესაზღვრეთა პრაქტიკული სახელმძღვანელო მკაფიოდ მიუთითებს, რომ მშობლის მეურვეობა არის მთავარი განმასხვავებელი კრიტერიუმი თანმხლებთან და თანმხლების გარეშე ბავშვების კლასიფიკაციისას, მესაზღვრემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ყველა მოგზაურ ბავშვს, მიუხედავად იმისა თანმხლებთან ერთად მოგზაურობს ის თუ არა.

მესაზღვრეთა პრაქტიკულ სახელმძღვანელოში და შენგენის სასაზღვრო კოდექსში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად, წინამდებარე სახელმძღვანელოს მომდევნო თავებში დეტალურად განერილია ბავშვებთან მუშაობის და ბავშვთა კონტრაბანდისა და ბავშვებით ვაჭრობის მსხვერპლის გამოვლენის სპეციალური პროცედურები.

რეკომენდაციები შეიძლება განსხვავდებოდეს მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ ყველა ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ მოპყრობას და მესაზღვრე უნდა იცნობდეს რისკის ჯგუფში შემავალი ბავშვების გამოვლენის ჩამოთვლილ კრიტერიუმებს.

ეს რეკომენდაციების სრული ჩამონათვალი მაინც არ არის: მესაზღვრე უნდა იცნობდეს დამნაშავეთა მეთოდებს, გაითვალისწინოს, რომ დანაშაულებრივი სქემა ადაპტაციას განიცდის სამართალდამცავთა ქმედებების შესაბამისად და რაც მთავარია, შეიძლება, ბავშვი სპეციალურად მოამზადონ გარკვეული სიტუაციისთვის, მაგრამ სტრესის დროს სხეულის ენის გაკონტროლება შეუძლებელია.

2.3. ბავშვთან ერთად ყოფნა სასაზღვრო შენობაში

მესაზღვრე აგებს პასუხს თითოეულ ბავშვზე, მანამ ისინი იმყოფებიან სასაზღვრო შენობაში. საგულისხმოა, რომ მესაზღვრეებმა უნდა იზრუნონ საფრთხეში მყოფ ბავშვზე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის, მეურვეობის სამსახურის წარმომადგენლის ან სხვა ოფიციალური პირის მოსვლამდე, რომელიც გადაიბარებს ბავშვს.

პირველი და/ან მეორე შემთხმების ხაზზე გასათვალისწინებელი ზოგადი რეკომენდაციები (საჭიროებს ბავშვის ასაკისა და განვითარების დონესთან ადაპტაციას):

- მოურგეთ სიტუაციას და ბავშვს – გამოიყენეთ ფურცელი და ფანქარი დასახატად, ერთად დასხედით იატაკზე არაოფიციალური გარემოს შესაქმნელად.
- სცადეთ ეკონტაქტით ღია კითხვების მეშვეობით (ბავშვმა უნდა შეძლოს ნებისმიერი პასუხის გაცემა, ერიდეთ კითხვებს, რომლებზეც მხოლოდ „კი/არა“ პასუხი შეიძლება), მაქსიმალურად ეცადეთ, თვითონ არ შესთავაზოთ პასუხები, მიეცით საშუალება, თავისუფლად ისაუბროს და არ დაიჩქაროთ. ჰკითხეთ ბავშვს კომფორტულად გრძნობს თუ არა თავს, ხომ არ სწყურია, შია, სცივა, სცხელა, ხომ არ უნდა ტუალეტში გასვლა ან სხვა რამ, რითიც შეგიძლიათ უზრუნველყოთ. მას შესაძლოა დედის ან მამის ნახვა უნდოდეს, ნუ დაპირდებით იმას, რასაც ვერ შეასრულებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავთ ბავშვის ნდობას.
- ჰკითხეთ, ბავშვს ხომ არ სჭირდება სამედიცინო დახმარება ან სხვა სახის დახმარება (ბავშვის ასაკიდან გამომდინარე, ჰკითხეთ ხომ არ სტკივა რამე). ასევე შესაძლებელია ჰკითხოთ, ბავშვის თანმხლებ პირს, ხომ არ სჭირდება ბავშვს სამედიცინო დახმარება ან სხვა სახის დახმარება. გაითვალისწინეთ, რომ ბავშვის თანმხლებს შეუძლია, ეს კითხვა საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენოს.
- დააკვირდით, ხომ არ აღენიშნება ბავშვს დაზიანებები ან რაიმე დაავადების ნიშნები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შესაძლო ძალადობის ნიშნებს (მაგალითად სხვადასხვა სახის დაზიანებები მომუშების სხვადასხვა სტადიაზე, დაზიანებები სახეზე ჩვილ ბავშვებში, თავზე თმის ამოგლეჯის ნიშნები და სხვა).
- ბავშვს მისთვის გასაკებ ენაზე მიაწოდეთ ინფორმაცია (მეორე ხაზის შემთხმების დროს) მოსალოდნელი პროცედურების შესახებ.



VEGA სახელმძღვანელო: ბავშვები აეროპორტებში

3. თანმხლებ პირთან ერთად და განცალკევებული ბავშვები



3.1. შემონმების და კონტროლის პირველ ზოლზე

3.1.1. ადგილი კონტროლის პუნქტამდე: რამე უჩვეულო ხომ არ ხდება?

ბავშვს შეიძლება ახლდეს მშობელი, კანონიერი მეურვე (ბავშვი თანმხლებთან ერთად) ან მესამე პირი, სხვა უფროსი ან ოჯახის წევრი, მაგალითად ბიძა ან ბაბუა (განცალკევებული ბავშვი). ადამიანები უფრო ბუნებრივად იქცევიან, თუ ფიქრობენ, რომ მათ არ აკვირდებიან, ამიტომ დააკვირდით ბავშვის და მისი თანმხლები პირ(ებ)ის ქცევას სანამ ისინი უახლოვდებიან ან დგანან პასპორტ-კონტროლის რიგში, პასპორტ-კონტროლი კარგი სავარჯიშოა. დიდ აეროპორტებში, სასურველია, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ოფიცრების განაწილება.

მესაზღვრემ ხალხზე დაკვირვებისას არ უნდა იხელმძღვანელოს ვარაუდებით ან დაეყრდნოს ცრუწმენებს. მნიშვნელოვანია, ბავშვზე და მის თანმხლებ პირ(ებ)ზე დაკვირვებისას, არ მოახდინოს დისკრიმინაცია სავარაუდო კულტურული, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, სქესის ან სხვა ფაქტორების გამო. თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვებს „ქვეყნიბიდან/რეგიონებიდან, საიდანაც ყველაზე მეტი მოთხოვნა მოდის თავშესაფარზე“.

ყველა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება პირველ შთაბეჭდილებას, გამოცდილი მესაზღვრის ინტუიციას. მესაზღვრემ უნდა მიაქციოს ყურადღება და მოახდინოს სათანადო რეაგირება ნებისმიერ არასტანდარტულ სიტუაციაზე (მაგ. ბავშვსა და უფროსს შორის კავშირის დადგენა, დოკუმენტების უფრო დეტალურად შესწავლა და ა. შ.).

გამოცდილი მესაზღვრეებს, რომლებსაც საზღვარზე ხშირად აქვთ შეხება ბავშვებთან, შეუძლიათ, გამოიყენონ საკუთარი ცოდნა მოცემული პუნქტების გათვალისწინებით ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის მიხედვით.

ბავშვის გარეგნობა:

- ♦ მორცხვი, უცნაური, შებოჭილი ან შეშინებული.
- ♦ ჩაკეტილი ქცევა, ცდილობს გამოჩნდეს რაც შეიძლება პატარა.



- ერიდება მხედველობით კონტაქტს, სულ უყურებს იატაკს.
- ჯგუფის სხვა წევრებისგან განცალკევებულია.
- ტანსაცმელი: ახალია? ბავშვის ზომაა თუ სხვისგან ნათხოვარს ჰგავს? რამდენად ადეკვატურია? რამდენად შეესაბამება სამოსი სიტუაციას?
- სცადეთ, დაამყაროთ მხედველობითი კონტაქტი პირთან, რომელიც იგნორირებას უწევს ბავშვს.
- პროფილის შედგენისას არის თუ არა მსგავსება უფროს(ებ)თან (იმ შემთხვევაში თუ უფროსი ბავშვის მშობელია), არა-დისკრიმინაციის პრინციპისა და მისი ობიექტურად გამოყენების გათვალისწინებით.
- კარგად დააკვირდით ბავშვისა და მისი მშობლების/თანმხლები პირ(ებ) ის ურთიერთობას.
- ბავშვი თავისუფლად იქცევა უფროს(ებ)თან, თავს კომფორტულად გრძნობს?
- ბავშვი თავისუფლად ლაპარაკობს?
- ბავშვი შიშს ხომ არ გამოხატავს უფროს(ებ)ის მიმართ?

საჭიროა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოდ ბავშვს, რომელსაც მხოლოდ ერთი უფროსი ახლავს ან ბავშვს იმ ქვეყნიდან, საიდანაც ბევრი ლტოლვილია ან კონფლიქტში ჩართული ქვეყნიდან, ან სადაც ადამიანთა უფლებების სერიოზულ დარღვევას აქვს ადგილი.

იშვიათად, მაგრამ მაინც არის იმის ალბათობა, რომ მძინარე ბავშვები სპეციალური საძილე საშუალებებით დააძინეს, საპასპორტო-კონტროლის გასავლელად. თუ გარკვეული დროის შემდეგ (თუნდაც შემოწმების მეორე ეტაპზე) ბავშვს ისევ სძინავს და თანმხლები უფროსი ნერვიულობს, ეს საუფქლოიან ეჭვს აღძრავს.

იგივე მეთოდის გამოყენება შესაძლებელია უფრო მოზრდილ ბავშვებთან, რომლებსაც შეუძლიათ საუბარი და საფრთხეს უქმნიან თანმხლებ პირებს, რადგან რთულია მათთვის ახსნა, რის თქმა შეიძლება და რის – არა. ...

3.1.2. შემოწმების პირველ ზოლზე

კაბინაში მყოფმა მესაზღვრემ ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ ინდიკატორებს გარეგნობაში:

3. თანმხლებ პირთან ერთად და განცალკევებული ბავშვები

სკოლამდელი ასაკი ბავშვი (ძირითადად 6 წლამდე):

- რამე უჩვეულო ხომ არ არის ამ სიტუაციაში?
- ბავშვის ქცევა შეესაბამება მოგზაურობის ხანგრძლივობას?
- ბავშვი არის მშვიდად, უყურადღებო, დაბნეული, შეშინებული ან ნაწყენი?
- ბავშვი მის თანმხლებთან თავს კომფორტულად გრძნობს? თუ მას აშინებს საპასპორტო-კონტროლის ფორმალური მხარე, ის უფრო ახლოს დგება თანმხლებთან?
- ხომ არ უყურებს ბავშვი სხვა მგზავრს, რომელიც მის იგნორირებას ცდილობს? (ასეთ შემთხვევაში საჭიროა ამ მგზავრის უკეთ შემოწმება, ის შეიძლება „ესკორტი“ იყოს).

სკოლის ასაკი ბავშვი (ძირითადად 6 წელს ზემოთ):

- რამე უჩვეულო ხომ არ არის ამ სიტუაციაში?
- ბავშვი შეშინებული ან აღელვებული ხომ არ არის?
- ბავშვი არის უყურადღებო/დისტანცირებული/ბურტყუნებს ან დაბნეულია?
- ბავშვი ზედმეტად მორჩილია?
- ხომ არ გამოიყურება ისე, თითქოს მიღებული აქვს დამამშვიდებელი საშუალებები?

ბავშვის თანმხლები უფროს(ებ)ი:

- თუ ეს არის მშობელი, რამდენად ჰგავს ბავშვს? რამდენად შეესაბამება მისი აღნაგობა ბავშვისას? რამდენად ემთხვევა მათი ქცევა, მანერები ან სხვა ქცევითი მანიერებლები?
- ხომ არ არის უფროსი შეწუხებული, აღელვებული ან განწევნილი?
- ბავშვსა და თანმხლებს პირს შორის ურთიერთობის დინამიკა შეესაბამება მათ კულტურულ ფონს?

მესაზღვრეს შეუძლია არაოფიციალურად დაუსვას მარტივი კითხვები ბავშვს, მაგალითად ჰკითხოთ სახელი ან ასაკი ან სხვა პირადი მონაცემები. კითხვები საკუთარი შეხედულების მიხედვით უნდა დასვას და ბავშვის ასაკს და განვითარების დონეს შეუსაბამოს, დასვას კითხვები, რომელთა გადამოწმებაც შესაძლებელია სამოგზაურო დოკუმენტში მოცემული ინფორმაციით.



ტრეფიკინგის ფაქტის გამოსავლენად, უფროსისათვის შეიძლება შემდეგი კითხვების დასმა:

- თქვენ ბავშვის მშობელი/მეურვე/კანონიერი წარმომადგენელი ხართ?
- თუ არა, მაშინ სად არიან ისინი და ვინ ხართ თქვენ?
- როდის ნახა ბავშვმა ბოლოს მშობლები?
- ბავშვს თან აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან პასპორტი?
- ბავშვის მოგზაურობის მიზანი და დანიშნულების პუნქტი?
- ვინ გაუწია ორგანიზება მოგზაურობას?
- ვინ ფარავს მოგზაურობის ხარჯებს?
- ხომ არ გაქვთ სურათები თქვენს ბავშვთან ერთ (ხშირ შემთხვევაში მშობლები ინახავენ შვილების სურათებს მობილურ ტელეფონში ან საფულეში).

3.1.3. დოკუმენტების შემოწმება

მესაზღვრემ უნდა გადაამოწმოს ნათესაური კავშირი ბავშვსა და ზრდასრულ პირს შორის. დოკუმენტების შემოწმებისას აუცილებელია დიალოგის წარმართვა მგზავრებთან, ამავდროულად უნდა დააკვირდეს მათ ქცევას (ზემოთ მოყვანილი რამდენიმე მაგალითი) და განსაკუთრებით ბავშვის რეაქციას (საპასპორტო-კონტროლზე სამუშაო ადგილი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ნებისმიერი ბავშვი თავისუფლად ჩანდეს, მაგ. უბრალო სარკის მეშვეობით მარტივად შეიძლება შეამოწმოს არის თუ არა ბავშვი კაბინის ქვედა ნაწილში).

სტანდარტულ შემოწმებასთან ერთად საჭიროა ყურადღების გამახვილება შემდეგ ფაქტორებზე:

- ბავშვების და დოკუმენტების რაოდენობა (პასპორტები, ვიზები ა. შ.). ახალი სამოგზაურო დოკუმენტები უფრო ყურადღებით უნდა შემოწმდეს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებიდან, სადაც შესაძლებელია დოკუმენტების მიღება მოტყუების ან კორუფციის გზით (არსებული რისკების ანალიზის მიხედვით).
- ხელთარსებული დოკუმენტაცია და ავიაბილეთები (მარშრუტი), მოკლე შეკითხვები მოგზაურობის მიზანზე (უნდა შემოწმდეს რამდენად ემთხვევა პასუხები ხელთარსებული დოკუმენტაციის მონაცემებს). ბავშვებთან

3. თანხლებ პირთან ერთად და განცალკევებული ბავშვები

ერთად მოგზაურობისას, მათი თანხლებები უფროსები ცდილობენ, მაქსიმალურად პირდაპირი მარშრუტის არჩევას.

- ბავშვსა და მის თანხლებს პირს შორის სამართლებრივი კავშირის დადგენა.
- ოჯახები, სადაც რამდენიმე ბავშვია: უნდა გადაამონდეს ზრდასრულ(ებ) ის დაბადების თარიღები და ასაკი შესაძლო შეუსაბამობის გამოვლენის მიზნით.
- ბავშვების ეროვნება: მაგალითად, თუ ბავშვს აქვს ევროკავშირის პასპორტი, ის უნდა საუბრობდეს ან ესმოდეს მაინც ერთი ან მეტი ევროპული ენა.
- სისტემატიურად შემონდეს შენგენის ეროვნული საინფორმაციო სისტემა (NSIS) და პოლიციის მონაცემები, თუ ევროკავშირის პასპორტის მქონე ბავშვი არ მგზავრობს ორივე მშობელთან ერთად (მესამე ქვეყნის წარმომადგენლებისათვის ეს შენგენის სასაზღვრო კოდექსის მოთხოვნაა).

თუ არის რაიმე ნიშანი, რომ ბავშვი საფრთხის ქვეშაა, მესაზღვრემ უნდა ჩაატაროს შემონმების მეორე ეტაპი.

3.2. შემონმების მეორე ბოლი

შემონმების მეორე ეტაპი უნდა ჩაატაროს სხვა მესაზღვრემ (თუ ეს შესაძლებელია), რომელიც იცნობს კონტრაბანდისტთა და ადამიანებით მოვაჭრეთა დანაშაულებრივ მეთოდებს და უკანასკნელ მონაცემებს.

უნდა გადაიხედოს ყველა მანამდე ჩატარებული სამუშაო და საჭიროების შემთხვევაში, განმეორდეს. ქვემოთ მოცემულია შემონმების დამატებითი მეთოდები.

შენგენის სასაზღვრო კოდექსის თანახმად, ბავშვი და მისი თანხლები პირი მიიღებენ წერილობით ინფორმაციას სტანდარტული ან შემთხვევითი მეთოდით ჩატარებული შემონმების მიზანზე (და პროცედურის შესახებ). ინფორმაცია მიენიჭებათ ევროკავშირის ყველა ენაზე და წევრ სახელმწიფოთა მოსაზღვრე სახელმწიფოს ენა(ებ)ზე. გამოყენებული იქნება ის ენა, რომელიც ესმით, ან გონივრულად ითვლება, რომ ესმით აღნიშნულ პირებს, ან კომუნიკაცია



შედგება სხვა საშუალებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის დახმარებით.

შემონშების მეორე ზოლზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის და მისი თანმხლები პირის რეაქციას.

3.2.1. მოგზაურობა

განსაკუთრებული რეისების (რისკების ანალიზის თანახმად) შემთხვევაში, თვითმფრინავის დაშვებამდე საჭიროა „მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციის სისტემის“ გამოყენება.

მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპის ლოგიკური შესწავლის გარდა, მგზავრების სიისა და მგზავრების სარეგისტრაციო ჩანაწერების შემოწმება, თუ ეს ნებადართულია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით, ეხმარება იმ მგზავრების გადამოწმებაში, რომლებსაც დაჯავშნილი აქვთ ბილეთი იმავე რეისზე და შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნან ბავშვებს. მგზავრებს შორის შესაძლოა გამოავლინონ და დააკავონ შუამავალი/ესკორტი, სანამ ის დატოვებს აეროპორტს. თუ ეროვნული კანონმდებლობა კრძალავს საპაერო ტრანსპორტის მიერ მგზავრების ჩანაწერების შემოწმებას, არსებობს ღია სისტემა, მაგალითად <https://www.checkmytrip.com>.

ავიაკომპანიის პერსონალსაც შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოწოდება. ფრენის დროს თვითმფრინავის ეკიპაჟს დიდი დრო აქვს მგზავრებზე დაკვირვების სანარმოებლად და მათ შეიძლება შეამჩნიონ რამე უჩვეულო (მაგ. კომუნიკაცია ბავშვსა და უფროსს შორის, რომლებიც სხვადასხვა რიგში სხედან, ჯგუფი, სადაც ბავშვები და მათი თანმხლები პირი აშკარად არ იცნობენ ერთმანეთს, ახალ უჩვეულო ტანსაცმელში ჩაცმული ბავშვი, რაც მიუთითებს, რომ ის ვერ ვერ შეეგუა ტანსაცმელს, ტანსაცმელს ვერ კიდევ შეიძლება ჰქონდეს ეტიკეტი და ა. შ.).

3.2.2. დოკუმენტები და ენა

რეკომენდირებულია სამოგზაურო და ხელთარსებული დოკუმენტების საფუძვლიანი შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში, იმ სახელმწიფოს

3. თანმხლებ პირთან ერთად და განცალკევებული ბავშვები

საკონსულოსთან დაკავშირება, რომელმაც გასცა დოკუმენტი. არ არის საჭირო საკონსულოსთან დაკავშირება, თუ ბავშვი წარმოშობით არის ქვეყნიდან საიდანაც ბევრი ლტოლვილია, ან კონფლიქტში ჩართული ქვეყნიდან ან სადაც ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევას და/თუ ბავშვი არის თავშესაფრის პოტენციური მაძიებელი, რადგან ამგვარმა ქმედებამ, შეიძლება, საფრთხე შეუქმნას ბავშვს და მის ოჯახს. უნდა შემოწმდეს, აქვს თუ არა ვიზებს თანმიმდევრული სერიული ნომრები, განსაკუთრებით თუ ეს ნომრები ეკუთვნის მგზავრებს, ვინც ერთად არ მოგზაურობენ.

საჭიროა გადაამოწმოს I-24/7 (ინტერპოლის მონაცემთა ბაზა) ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით, თუ ეს შემთხვევა არ ჩატარდა პირველი ზოლის შემოწმებისას.

თუ ბავშვს მოგზაურობის დროს არ აქვს საკუთარი ბარგი, უფროსს თავის ბარგში უნდა ჰქონდეს ბავშვის კუთვნილი ტანსაცმელი, სათამაშოები ან სხვა საბავშვო ნივთები. ყველა თანმხლებ ზრდასრულ პირს უნდა შეეძლოს, ჩამოთვალოს ბავშვის კუთვნილი ნივთები, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში.

3.2.3. ბავშვთან კომუნიკაცია მეორე ზოლის შემოწმებისას

მეორე ზოლის შემოწმების დროს ბავშვთან გასაუბრებისას მესაზღვრემ, უნდა შეძლოს, რამდენიმე წამით დააშოროს ბავშვი თანმხლებ პირს (შეუმჩნევლად). თუ ბავშვი საფრთხეშია, ის პოტენციური მოძალადის არყოფნის შემთხვევაში ეცდება შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ. ბავშვს უნდა აუხსნან მიმდინარე პროცედურის დეტალები.

ამასთანავე, სხვა მესაზღვრემ უნდა სცადოს, გამოავლინოს შეუსაბამო ან არათანმიმდევრულობა ინფორმაციაში და ცალკე, არაოფიციალურად დაუსვას უფროსს შეკითხვები, შემდეგ კი შეადაროს უფროსისა და ბავშვის პასუხები.

ყოველთვის სასურველია, ადგილზე იყოს ორი მესაზღვრე, თუ არის შესაძლებელი ქალი და კაცი, შეიქმნას მაქსიმალურად არაოფიციალური და მეგობრული ატმოსფერო. როცა ბავშვი თავს დაცულად იგრძნობს, ის მოლუნდება და გაუადვილებს კომუნიკაციას. წინააღმდეგობები ბავშვისთვისაც



და უფროსისთვისაც რისკის მანიშნებელია (მათ შესაძლოა წარსულში ჰქონოდათ ცუდი გამოცდილება პოლიციასთან და/ან უსაფრთხოების სამსახურებთან), ამიტომ მნიშვნელოვანია, მინიმუმამდე შემცირდეს კონფრონტაცია და გასათვალისწინებელია, რომ სიტუაცია არ უნდა იყოს ოფიციალური და სტრესული.

ორი მესამედვრეს ერთად მუშაობისას ნაკლებია დაშინების (ან სხვა შეუსაბამო ქცევის) ბრალდების წაყენების ალბათობა. ბავშვის უფროსთან დაშორების პერიოდი გონივრულად მოკლე უნდა იყოს, თუ რაიმე საფრთხე არ გამოვლინდა.

ბავშვებთან საჭიროა საუბარი და არა გამოკითხვის ჩატარება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია ფორმალური გასაუბრების ჩატარება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (იხ. თავი 3.3). ბავშვთან დიალოგი უნდა წარიმართოს შეფერხების გარეშე, ამისთვის განკუთვნილ სპეციალურად ადაპტირებულ სივრცეში და სასურველია, სპეციალურად მომზადებული სპეციალისტის მიერ. თუ არის ამის შესაძლებლობა, გასაუბრება უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა რაც ბავშვია. საჭიროა, თარჯიმნის ჩართვა პროცესში თუ ბავშვს არ ესმის ენა, შინაარსიანი დიალოგის წარმართვის მიზნით. გასაუბრებების რაოდენობა და დრო მინიმალური უნდა იყოს და ბავშვთან გასაუბრება შეძლებისდაგვარად ერთი და იგივე პირმა უნდა ჩაატაროს.

რეკომენდირებულია, წინასწარ განიმარტოს გასაუბრების მიზანი და განისაზღვროს მისი წესები: „თუ არ იცი პასუხი ნუ დაიწყებ გამოცნობას, უბრალოდ თქვი, რომ არ იცი პასუხი, არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხი“. „შენ ჩემზე კარგად იცი რა მოხდა“. „თუ არ გინდა პასუხის გაცემა, უბრალოდ მითხარი“. „შეგიძლია, შემისწორო ან არ დამეთანხმო“. „თუ კითხვას ვიმეორებ, არ ნიშნავს, რომ პირველი პასუხი არასწორი იყო“. „თუ კითხვა რთულია, შეგიძლია მერე დავუბრუნდე“. „უბრალოდ თქვი სიმართლე“.

ძირითადად, ნორმალურ პირობებში ბავშვის მოთხოვნის საფუძველზე გასაუბრებას შეიძლება დაესწროს მის მიერ შერჩეული უფროსი, მაგრამ ეს

3. თანმხლებ პირთან ერთად და განცალკევებული ბავშვები

დაუშვებელია, თუ არსებობს ეჭვი, რომ ეს უფროსი არის შუამავალი. თუ გაჩნდა ეჭვი, რომ ადგილი აქვს ბავშვთან დაკავშირებულ დანაშაულს, მესაზღვრემ უნდა უზრუნველყოს გასაუბრების მსხვერპლ ბავშვებთან და მონშებთან ერთად ჩატარება მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და შემდგომ მისი გამოყენება სამხილად (შეიძლება, საჭირო გახდეს პროკურორის ან მოსამართლის წინასწარი ნებართვის მიღება გასაუბრების იურიდიული წარმომადგენლის და/ან ბავშვების უფლებადამცველების და ა. შ. თანდასწრებით ჩასატარებლად). ყველა სხვა შემთხვევაში ბავშვთან გასაუბრება არაოფიციალურია.

ქვემოთ მოცემულია ბავშვთან კომუნიკაციის მაგალითები, მათი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით:

- ყურადღება მიაქციეთ მწუხარების ნიშნებს, სახის გამომეტყველებაში, ჟესტებში და სხეულის ენაში;
- ნუ მოელთ ან აიძულებთ, დაუყოვნებლივ გაიხსნას;
- ესაუბრეთ მეგობრულად, მეგობრულ გარემოში; იყავით გახსნილი, მარტივი და გულწრფელი, შესაძლებლობის შემთხვევაში ისაუბრეთ ბავშვის ენაზე (დაიხმარეთ ამ ენაზე მოსაუბრე);
- გამოიყენეთ ბავშვის ასაკის და განვითარების დონის შესაფერისი ენა, მარტივი და ნათელი ტერმინები;
- აუხსენით ბავშვს, რა ხდება და რატომ ამოწმებენ მას ამ პირობებში;
- მიაწოდეთ ბავშვს ინფორმაცია მისი სტატუსის, უფლებების და დაცვის ღონისძიებების შესახებ;
- დაარწმუნეთ ბავშვი, რომ თქვენი მიზანი მისი კეთილდღეობა, უსაფრთხოება და დაცვაა;
- დასვით ღია და კონკრეტული კითხვები (რა, სად, როდის, როგორ, ვინ, რატომ);
- აცალეთ ბავშვს, შეისვენოს თუ უნდა წყალი ან ტუალეტი ან უბრალოდ დაიძალა, საჭიროებიდან გამომდინარე ეცადეთ დააკმაყოფილოთ მისი მოთხოვნები;
- მოერიდეთ ვარაუდის გაკეთებას, რას ფიქრობს ბავშვი;
- გადაამოწმეთ, გაიგო თუ არა ბავშვმა, ჰკითხეთ რა გაიგო;
- ჰკითხეთ, ხომ არ გაუჩნდა კითხვები და უპასუხეთ მათ.



იმის დასადგენად, მართლა არის თუ არა ბავშვი იმ ქვეყანიდან, საიდანაც მისი თანმხლები პირის თქმით, ისინი არიან წარმოშობით, შესაძლებელია შემდეგ თემებზე საუბარი:

- მათი წარმომავლობის ქვეყანაში ახალგაზრდებში პოპულარული, სატელევიზიო პროგრამები, მულტფილმები, მუსიკოსები (ინფორმაციის მოძიება ინტერნეტით არის შესაძლებელი);
- მათი საცხოვრებელი ადგილის ბაზისური ცოდნა (ამაში დაგეხმარებათ აპლიკაცია Google Earth Street View); დეტალები სკოლაზე, სპორტზე, რომელზეც დადიან, სახლის ინტერიერზე.

ბავშვის პასუხები უნდა შეადართო თანმხლები უფროსის ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა ბავშვების პასუხებს.

3.3. სატრანზიტო ზონა და რეგისტრაცია ჩასხდომამდე

წინამდებარე თავში მოცემული ყველა რჩევა ასევე ვრცელდება სატრანზიტო ზონის კონტროლსა და ჩასხდომამდე რეგისტრაციაზე, საჭიროა, გაითვალისწინოთ, რომ ასეთ სიტუაციაში შენიღბულ ჯგუფს (ანუ მესაზღვრეებს სამოქალაქო ტანსაცმელში) უფრო კარგად შეუძლია, დააკვირდეს მგზავრების ქცევას.

გადატვირთულ სატრანზიტო ზონაში, ადვილია სამგზავრო ბილეთების გადაცვლა ან შეცვლა. თანმხლებ პირთან ერთად ჩამოსული ბავშვი შეიძლება დატოვონ. გადატვირთულ აეროპორტში დანაშაულებრივი მოქმედების საქმის ამოხსნაში ფასდაუდებელი დახმარება შეიძლება შეასრულოს ჩაკეტილი სატელევიზიო სისტემის სკრინინგმა (CCTV) და ზედამხედველობამ.

3.4. საბოლოო გადაწყვეტილება და რეფერალი

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და გაძევების დაუშვებლობის პრინციპის დაცვას.

ბავშვის დაკავება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები, ყოველთვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დაცვით, მინიმალური დროით და ისიც როგორც უკიდურესი ზომა. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა განსაზღვრა, რომ ბავშვის დაკავებას არ ამართლებს მიგრაციის სტატუსის მიზნები¹². გარემოებებიდან გამომდინარე, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბავშვს საფრთხე ემუქრება ან რისკის ქვეშაა და მისი მგზავრობა ადამიანებით ვაჭრობას უკავშირდება ან საჭიროებს დაცვას ზემოთჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა სასწრაფოდ რეფერალური მექანიზმის ამოქმედება და კვლევის დაწყება, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად. აეროპორტში უნდა გამოიძახონ ბავშვთა დაცვის სპეციალისტები რეფერალურ ან სანაყის ეტაპზე ბავშვის განთავსებისათვის; მესაზღვრეებს ხელთ უნდა ჰქონდეთ მათი საკონტაქტო ინფორმაცია.

საზღვარზე ერთერთი მთავარი წესია, რომ ბავშვები არ უნდა დააშორონ მშობლებს (ან თანმხლებ ნათესავებს), თუკი არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათთან ერთად ბავშვს საფრთხე ემუქრება. აღნიშნული საკითხის დეტალებს უფრო ამომწურავად ბავშვთა დაცვის სააგენტოები გაბრკვევენ და გადაიბარებენ საქმეს.

გასათვალისწინებელია შემდეგი:

- უნდა უზრუნველყოთ, რომ ბავშვის დაცვისა და/ან ეროვნული რეფერალური მექანიზმის გააქტიურებასა და მის ფაქტიურად გადაცემას შორის მინიმალური დრო გავიდეს. ამ მიზნით, წინასწარ უნდა იყოს გარკვეული და ცნობილი, როგორ ამოქმედოთ დაცვის ან ეროვნული რეფერალური სისტემა (მაგ. საკონტაქტო პირ(ებ)ი და ნომრები).
- სასურველია, საკოორდინაციო შეხვედრის ჩატარება დაცვისა და/ან ეროვნული რეფერალური მექანიზმის შესახებ, პრობლემის გადაჭრის მეთოდების შესარჩევად, როცა ბავშვები ჩამოდიან გვიან ღამით, დილით ადრე ან დასვენების დღეებში და შაბათ-კვირას.


¹² UNCRC, ზოგადი კომენტარი No 6 (2005), თანმხლების გარეშე ან განცალკევებულ ბავშვებთან მოპყრობის წესის შესახებ მათი წარმომავლობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, პარაგრაფი 61.



- უზრუნველყავით, რომ ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იყოს ძირითადი სერვისები (საკვები, წყალი, ტუალეტი, სამედიცინო დახმარებ ა და ა. შ.) და შესაძლებლობის შემთხვევაში, გართობის საშუალებები, სანამ ის ლოდინის რეჟიმშია.
- მუდმივად მიაწოდეთ ბავშვებს ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე და იმაზე, რა უნდა მოხდეს.

შესაზღვრეები უნდა იცნობდნენ ავიახაზების პროცედურებს თანმხლებ პირთან ერთად და განცალკევებულ ბავშვებთან დაკავშირებით.

4. ბავშვები თანმხლები პირის გარეშე



4.1. შემონმების და კონტროლის პირველ ზოლზე

4.1.1. სიტუაციის შეფასება შემონმების დაწყებამდე: რამე უჩვეულო ხომ არ არის?

თანმხლები პირის გარეშე ბავშვებზე დაკვირვებისას საჭიროა გაითვალისწინოთ **იგივე პარამეტრები, რაც გამოიყენება თანმხლებ პირთან ერთად ან განცალკევებული ბავშვების ქცევის შეფასების დროს**. კარგია, ადამიანებზე დაკვირვება, როდესაც ისინი ფიქრობენ, რომ მათ არავინ უყურებს. დიდ აეროპორტებში ყოველთვის ამართლებს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მესამღვრეების განთავსება.

მესამღვრემ ხალხზე დაკვირვებისას არ უნდა იხელმძღვანელოს ვარაუდებით ან დაეყრდნოს ცრუნებებს. მნიშვნელოვანია, ბავშვებზე დაკვირვებისას არ მოხდეს დისკრიმინაცია კულტურული, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის, სქესის ან სხვა ფაქტორების გამო.

ყველა შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება პირველ შთაბეჭდილებას, გამოცდილი მესამღვრის ინტუიციას. მესამღვრემ უნდა მიაქციოს ყურადღება და მოახდინოს სათანადო რეაგირება ნებისმიერ არასტანდარტულ სიტუაციაზე (მაგ. ბავშვის სამგზავრო და ხელთარსებული დოკუმენტაციის დაკვირვებით შესწავლა, ფარული დაკვირვება, იმ ადამიანთან კავშირის დადგენა, ვინც უნდა დახვდეს ბავშვს და ა. შ.).

გამოცდილ მესამღვრეებს, რომლებსაც საზღვარზე ხშირად აქვთ შეხება ბავშვებთან, შეუძლიათ, გამოიყენონ საკუთარი ცოდნა მოცემული პუნქტების გათვალისწინებით, ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.

4.1.2. შემონმების პირველ ზოლზე

კაბინასთან მესამღვრეებმა უნდა დაუთმონ ყურადღება შემდეგ ფაქტორებს გარეგნობაში:

- ♦ რამე უჩვეულო ხომ არ არის მოცემულ სიტუაციაში?
- ♦ ბავშვის ქცევა შეესაბამება უკვე განვლილი მარშრუტის ხანგრძლივობას?



- ბავშვი არის მშვიდად, გონება დაფანტული, დაბნეული, შეშინებული ან გულნატკენი?
- ხომ არ უყურებს ბავშვი სხვა მგზავრს? (ასეთ შემთხვევაში საჭიროა ამ მგზავრის უკეთ შემონმება, ის შეიძლება „ესკორტი“ იყოს).

4.1.3. დოკუმენტების შემონმება

ენობრივი ბარიერი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ ბავშვთან შეიძლება რამდენიმე სიტყვით გასაუბრება, ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით. ჰკითხეთ, ვინ უნდა დახვდეს მას უსაფრთხოების პერიმეტრის გარეთ, თუ ბავშვი ხშირად მოგზაურობს, სად არიან ბავშვის მშობლები და მის ქვეყანაში ვინ მიიყვანა ბავშვი აეროპორტში გამოღრენის დროს.

სტანდარტული შემონმების პროცედურასთან ერთად, საჭიროა ყურადღების გამახვილება შემდეგზე:

- წარმოდგენილი დოკუმენტები (პასპორტები, ვიზები, თანმხლები დოკუმენტაცია და ა. შ.). ახალი სამოგზაურო დოკუმენტები უფრო ყურადღებით უნდა შემოწმდეს, განსაკუთრებით იმ ქვეყნიებიდან, სადაც შესაძლებელია დოკუმენტების მოპოვება მოტყუების ან კორუფციის გზით (არსებული რისკების ანალიზის მიხედვით).
- ზოგიერთი საკონსულო ბავშვისთვის ვიზის გაცემისას კომენტარების გრაფაში უთითებს თანმხლები, ზრდასრული პირის სახელს (მაგ. ბრიტანეთის საკონსულო); ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ძველი ვიზები პასპორტში, სადაც მითითებულია იმ პირის სახელი, ვინც ხვდება მას ჩაფრენისას.
- ხელთარსებული დოკუმენტაციის და ავიაბილეთების (მარშრუტი) შემონმება, მოკლე შეკითხვები მოგზაურობის მიზანზე.
- შენგენის სასაზღვრო კოდექსის თანახმად, შენგენის ეროვნული საინფორმაციო სისტემის (NSIS) და პოლიციის მონაცემების გადამონმება (მესამე ქვეყნის წარმომადგენლებისათვის ეს შენგენის სასაზღვრო კოდექსის მოთხოვნაა) და თუ ადგილზე არის ამის შესაძლებლობა, ბავშვთა გატაცების შეტყობინების სისტემით სარგებლობა.

4. ბავშვები თანმხლები პირის გარეშე

რეკომენდებულია, მეორე ზოლის ოფიცერმა იპოვოს და მოკლედ გაესაუბროს პირს, რომელიც ელოდება ბავშვს (იხ. პუნქტი 5.2.1.).

თუ არის რაიმე ნიშანი, რომ ბავშვი საფრთხის ქვეშაა, მესამეჯერმ უნდა ჩაატაროს შემოწმების მეორე ეტაპი.

4.2. შემოწმების მეორე ზოლზე

შემოწმების მეორე ეტაპს უნდა ატარებდეს სხვა მესამეჯერე (თუ ეს შესაძლებელია), რომელიც იცნობს კონტრაბანდისტა და ადამიანებით მოვაჭრეთა დანაშაულებრივ მეთოდებს და უკანასკნელ მონაცემებს.

როგორც უკვე ითქვა, უნდა გადაიხედოს ყველა მანამდე ჩატარებული სამუშაო და საჭიროების შემთხვევაში, განმეორდეს.

დოკუმენტებისა და ბილეთების შემოწმება, მოგზაურობის სხვადასხვა მარშრუტის დეტალური შემოწმება, სატრანზიტო ზონასთან დაკავშირებული გაფრთხილებები და ბავშვებთან კომუნიკაციის ტექნიკა იგივეა, რაც თანმხლებ პირთან ერთად ან განცალკევებული ბავშვების შემთხვევაში.

შენგენის სასაზღვრო კოდექსის თანახმად, ბავშვმა უნდა მიიღოს წერილობით ინფორმაცია სტანდარტული ან შემთხვევითი მეთოდით ჩატარებული შემოწმების მიზანზე (და პროცედურაზე). ინფორმაცია მიეწოდებათ ევროკავშირის ყველა ენაზე და ნევრ სახელმწიფოთა მოსაზღვრე სახელმწიფოს ენა(ებ)ზე. გამოყენებული იქნება ის ენა, რომელიც ესმის, ან გონივრული საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ ესმის ბავშვს, ან კომუნიკაცია შედგება სხვა საშუალებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის დახმარებით.

4.2.1. პირი რომელიც უნდა დახვდეს ბავშვს

მნიშვნელოვანი ფაქტორია ის პირი, რომელიც ხვდება ბავშვს. მეორე ხაზის ოფიცერმა უნდა იპოვოს და მოკლე გასაუბრება ჩაუტაროს ამ პირს, მაგრამ



ეს შემონშება დასაშვებია, მხოლოდ ხელმისაწვდომი დოკუმენტაციის საფუძველზე, თვითმფრინავის ეკიპაჟის და ბავშვისგან ინფორმაციის მოპოვების შემდეგ. მოგვიანებით კი შეამოწმოს პირი, რომელიც ელოდება ბავშვს.

სასურველია, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ოფიცერი გარკვეული დისტანციის დაშორებით გაჰყვეს ბავშვის თანმხლებ პერსონალს და დარწმუნდეს, რომ ბავშვს დახვდნენ. ადამიანებით მოვაჭრე დაიძალდება, თუ ბავშვთან ერთდ უნიფორმაში ჩაცმული პირი გამოჩნდება.

პირს, რომელიც ბავშვს ხვდება, უნდა შეატყობინონ, რომ მას სტანდარტული პროცედურის თანახმად საფუძვლიანად შეამოწმებენ, ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მის რეაქციას.

თუ ბავშვი მოგზაურობს საკუთარი ბარგით, უფროსმა შესაძლოა იცოდეს რა დევს ბარგში, განსაკუთრებით თუ ბავშვი პატარაა. უფროსმა უნდა შეძლოს, ჩამოთვალოს ბავშვის კუთვნილი ნივთები, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში. ოფიცერი უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვის მოგზაურობის მიზანი ლეგიტიმურია და მისი ახსნა-განმარტებაც სიმართლეს შეეფერება.

იდენტიფიცირებისა და კონტროლის პროცესში, თავშესაფრის მოთხოვნამ ბავშვის ან ბავშვის სახელით უფროსის მხრიდან, რომელიც მას ელოდება, არ უნდა შეაფერხოს მესაზღვრე საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და სტანდარტული პროცედურის ჩატარებისგან.

4.3. საბოლოო გადანყვეტილებები და რეფერალი

ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და გაძევების დაუშვებლობის პრინციპის დაცვას.

ბავშვის დაკავება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებშია დასაშვები, ყოველთვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დაცვით, მინიმალური დროით და

4. ბავშვები თანმხლები პირის გარეშე

ისიც, როგორც უკიდურესი ზომა. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტმა განსაზღვრა, რომ ბავშვის დაკავებას არ ამართლებს მიგრაციის სტატუსი¹³. გარემოებებიდან გამომდინარე, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბავშვს საფრთხე ემუქრება ან რისკის ქვეშაა და მისი მგზავრობა ადამიანებით ვაჭრობას უკავშირდება ან საჭიროებს დაცვას ზემოთჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა სასწრაფოდ რეფერალური მექანიზმის ამოქმედება და კვლევის დაწყება, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით. აეროპორტში უნდა გამოიძახონ ბავშვთა დაცვის სპეციალისტები რეფერალურ ან საწყის ეტაპზე ბავშვის განთავსებისთვის; მესამღვრეებს ხელთ უნდა ჰქონდეთ მათი საკონტაქტო მონაცემები.

საზღვარზე ერთერთი მთავარი წესია, რომ ბავშვები არ უნდა დააშორონ მშობლებს ან ნათესავებს (რომლებიც ელოდებიან მათ ჩამოსვლას), თუკი არ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ უფროს(ებ)თან ბავშვს საფრთხე ემუქრება. აღნიშნული საკითხის დეტალებს უფრო ამომწურავად ბავშვთა დაცვის სააგენტოები გაარკვევენ და გადაიბარებენ საქმეს.

გასათვალისწინებელია შემდეგი:

- უნდა უზრუნველყოთ, რომ ბავშვის დაცვისა და/ან ეროვნული რეფერალური მექანიზმის ამოქმედებასა და მის ფაქტიურად გადაცემას შორის მაქსიმალურად მოკლე ინტერვალი იყოს. ამ მიზნით, წინასწარ უნდა იყოს გარკვეული და ცნობილი, როგორ ამოქმედდეს დაცვის ან ეროვნული რეფერალური სისტემა (მაგ. საკონტაქტო პირ(ებ)ი და ნომრები).
- სასურველია, საკოორდინაციო შეხვედრის ჩატარება დაცვისა და/ან ეროვნული რეფერალური მექანიზმის შესახებ, პრობლემის გადაჭრის მეთოდების შესარჩევად, როცა ბავშვები ჩამოდიან გვიან ღამით, დილით ადრე ან დასვენების დღეებში და შაბათ-კვირას.
- უზრუნველყავით, რომ ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იყოს ძირითადი სერვისები (საკვები, წყალი, ტუალეტი, სამედიცინო დახმარება ა და ა.

13 UNCR, ზოგადი კომენტარი No 6 (2005), თანმხლები პირის გარეშე ან განცალკევებულ ბავშვებთან მოპყრობის წესის შესახებ მათი წარმომავლობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ, პარაგრაფი 61.



შ.) და შესაძლებლობის შემთხვევაში, გართობის საშუალებები, სანამ ის ლოდინის რეჟიმშია.

- ◆ მუდმივად მთანოდეთ ბავშვებს ინფორმაცია მიმდინარე პროცესებზე და იმაზე, რა უნდა მოხდეს.

მესაზღვრეები უნდა იცნობდნენ ავიახაზების პროცედურებს იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომლებიც თანმხლებ პირთან ერთად არ მგზავრობენ.

5. დამატებითი ინფორმაცია



5.1. მონაცემთა შეგროვება

სათანადოდ შეგროვებული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ადგილზე ჩატარებული სამუშაოები სწორად არის შესრულებული. ვინაიდან ევროკავშირის ზონაში მნიშვნელოვანი მონაცემები გარე საზღვრების გადაწყვეთ ბავშვებზე, მონაცემთა უკეთ შეგროვება ეხმარება უკეთესი მეთოდის შემუშავებასა და უამრავი მსხვერპლის გადარჩენაში.

მესაზღვრეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ბავშვებთან დაკავშირებული დანაშაულის გამოვლენაში. მსგავსი დანაშაულის გამოძიება დამოკიდებულია მესაზღვრეების რეაგირებაზე და ქმედებებზე, ვინც პირველი ამჩნევს შეცდომას ან შეუსაბამობას. რელევანტური ინფორმაცია ამომწურავად და სწრაფად უნდა გადაეცეს შესაბამის უწყებებს დაუყოვნებლივ რეაგირებისათვის. ადამიანებით მოვაჭრეები იშვიათად მუშაობენ მართლ და ხშირად ცვლიან შესვლის პუნქტს, ამით ამცირებენ დაჭერის რისკს, შესაბამისად მხოლოდ მონაცემთა საყოველთაო შეგროვებით არის შესაძლებელი ერთნაირი დანაშაულებრივი სქემის გამოვლენა და საუკეთესო მეთოდის შემუშავება. ბავშვების შეკრება, ტრანსპორტირება და ექსპლუატაცია ითვალისწინებს მაღალი დონის ჯგუფურ ორგანიზებას. მესაზღვრეები ყურადღებით უნდა იყვნენ ურთიერთდაკავშირებული დანაშაულების გამოვლენის დროს¹⁴.

5.2. მონაცემთა დაცვა

მესაზღვრეებმა უნდა გაითვალისწინონ მონაცემთა დაცვის ყველა მოთხოვნა ბავშვების შესახებ მონაცემების ჩანერის, დამუშავებისა და გადაცემის პროცესში.

ამავდროულად მესაზღვრეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ ბავშვების შესახებ მონაცემების ჩანერის, დამუშავებისა და გადაცემის დროს. გამოიყენება მონაცემთა დაცვის რეგლამენტი და მისი დაცვა აუცილებელია. როგორც წესი, დაუშვებელია მესაზღვრეების მიერ ბავშვთან დაკავშირებული

¹⁴ ინტერპოლის ყოველწლიური ანგარიში 2008წ. ადამიანი ვაჭრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე.



დეტალური ინფორმაციის გადაცემა მისი წარმომავლობის ქვეყანაში ან მიმღებ ქვეყანაში არსებულ მისი წარმომავლობის ქვეყნის უწყებებისთვის (მაგ. საკონსულო).

საჭიროების შემთხვევაში, უნდა დადგინდეს იმ პირების ვინაობა, ვინც ხვდება ბავშვს ან ელოდება ჩამოფრენის ზონის გარეთ (იხ. მე-5 მუხლი, პ. 5.2.1)

5.3. მესამე ქვეყნების საკონსულოები

აღნიშნულ წარმომადგენლობებთან კონტაქტი აუცილებელია სამგზავრო და ხელთარასებული დოკუმენტაციის გადასამოწმებლად, იმ შემთხვევაში, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის ბავშვს (მაგ. თუ ბავშვი აპირებს თავშესაფრის მოთხოვნას).

შესაძლებელია ბავშვის თანმხლებ მგზავრებთან (უფროსებთან) ან იმ პირებთან დაკავშირება, რომლებიც უნდა დახვდნენ მას, მათ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე პირის ან თარჯიმნის დახმარებით, რომ მათ შეატყობინონ თავიანთი ადგილმდებარეობა შესაბამის უწყებებს.

5.4. ავიახაზების პროცედურები თანმხლები პირის გარეშე ბავშვებისთვის

ასაკობრივი ცენზი, რომელსაც ჩვეულებისამებრ გამოიყენებენ ავიახაზები თანმხლები პირის გარეშე მოგზაური ბავშვების მიმართ 5-დან 11 წლამდე მერყეობს (ზოგჯერ 15 წლამდე). ავიახაზების პროცედურები დეტალურად არის განწერილი მათ ვებ-გვერდებზე.

ბავშვების ფაქტორის გათვალისწინებით, ადგილობრივმა მესაზღვრეებმა უნდა გაანალიზონ სხვადასხვა პროცედურა და გამოავლინონ მათ აეროპორტში არსებული ნაკლოვანებები.

6. დაცვის და ეროვნული რეფერალური მექანიზმი



2.9 პუნქტის თანახმად, ეროვნული რეფერალური მექანიზმი სახელმწიფოებრივ დონეზე განსაზღვრული სისტემაა, რომელიც შექმნილია კოორდინირებული რეაგირების მეშვეობით დაუცველი პირების და მათი უფლებების დასაცავად. ეროვნული რეფერალური მექანიზმის ორგანიზება დამოკიდებულია ეროვნულ სპეციფიკაზე და მიმდინარე საკითხებზე.

ასე მაგალითად, წევრი სახელმწიფოები, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ვალდებული არიან ეროვნულ დონეზე შემოიღონ რეფერალური მექანიზმი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთათვის¹⁵. ზოგიერთ ქვეყანაში მესაზღვრეების მიერ დაუცველი ბავშვების მიმართ განსახორციელებელი ქმედებები გააერთიანეს სტანდარტულ საოპერაციო პროცედურაში, რომლის ამოქმედებაც საკამოდ მარტივია. სხვა ქვეყნებში რეაგირების მეთოდები ნაკლებად არის განსაზღვრული, ამიტომ მესაზღვრეები ქმნიან საკუთარ რეფერალურ მექანიზმს სიტუაციიდან გამომდინარე.

ევროკავშირი ასევე ხელს უწყობს ბავშვების გატაცებასთან დაკავშირებულ საქმეებში რეფერალური მექანიზმის ეროვნულ დონეზე განსაზღვრას. კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაციები¹⁶ და შესავაზა¹⁷ წევრ სახელმწიფოებს, შექმნან ბავშვების გატაცების შეტყობინებათა სისტემა ტრანსსასაზღვრო ურთიერთ თანამშრომლობისთვის. საბჭომ¹⁸ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, დანერგონ ეს მექანიზმები და გააფორმონ ყველა საჭირო შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ განსხვავებული ეროვნული სისტემები ხელს უშლის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას ევროკავშირის ფარგლებში. დღემდე

15 იხ. ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივების 2011/36/EU თავი 11(4): “წევრმა სახელმწიფოებმა რეგულაციურ მხარდაჭერ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უნდა მიიღონ სათანადო ზომები შესაბამისი მექანიზმის დასანერგად, რომელიც მიზნად ისახავს მსხვერპლთა ადრეულ სტადიაზე გამოვლენას, დახმარებას და მხარდაჭერას..”

16 SEC(2008) 2912 ბოლო — ბავშვების გატაცების ტრანსსასაზღვრო შეტყობინების საუკეთესო მეთოდები: http://ec.europa.eu/justice/funding/rights/call_10014/ramc_ag_annex_5_2008_en.pdf.

17 მაგალითად, ბულგარეთმა, კვიპროსმა, პოლონეთმა, სლოვაკეთმა, ესპანეთმა და დიდმა ბრიტანეთმა ისარგებლეს ამ შესაძლებლობით.

18 საბჭოს დასკვნა 2008 წლის 11 ნოემბერი: <http://register.consilium.europa.eu/doc/srv?l=EN&f=ST%2014612%202008%20REV%202>



ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია ეს მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმები საჭიროა ბავშვის გატაცებისას სწრაფი და ორგანიზებული რეაგირებისთვის, ყველა საჭირო მონაწილის, მათ შორის მესაზღვრის ჩართვით.

სახელმწიფო ხელისუფლებას წამყვანი როლი აქვს ეროვნული რეფერალური მექანიზმის დანერგვაში და ტრანსსასაზღვრო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში. მესაზღვრეებს შეუძლიათ, მოუწოდონ ხელისუფლებას დანერგონ ეს მექანიზმები იმ სხვადასხვა სფეროში.

Frontex ურჩევს ადვილად ასამოქმედებელი რეფერალური სისტემის დანერგვას. ბავშვებთან დაკავშირებული რეფერალური სისტემისთვის საჭირო შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- განხორციელებული ზომების უპირველესი პრიორიტეტი ბავშვთა უფლებების დაცვაა ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
- ეფექტური სისტემა უნდა იყოს მაქსიმალურად ყოვლისმომცველი, რათა სწრაფი რეაგირება მოახდინოს ძალადობის, ექსპლუატაციის და ადამიანებით ვაჭრობის ფაქტებზე. ხელმისაწვდომი უნდა იყოს სპეციალიზებული მომსახურებათა ფართო სპექტრი ადამიანების განსაკუთრებული მოთხოვნების სათანადოდ დასაკმაყოფილებლად.
- საჭიროა მრავალდისციპლინარულია და უწყებათაშორისი მიდგომების დანერგვა. ყველაზე ეფექტური ბავშვების დაცვის ინტეგრირებული სისტემებია. ამ პროცესში უნდა ჩაერთოს ყველა შესაბამისი სახელმწიფო და სამოქალაქო სტრუქტურა.
- სხვადასხვა პირებს შორის მიღწეული შეთანხმება მაქსიმალურად მოქნილი უნდა იყოს, რათა გაუმკლავდეს რეფერალური პროცესის სირთულეებს და დააკმაყოფილოს სხვადასხვა სიტუაციაში მყოფი ბავშვების მოთხოვნილებები. პროცესში უნდა ჩაერთოს ყველა მშობელი მათი როლისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით და მექანიზმის ფარგლებში თანამშრომლობის ძირითადი პრინციპი დაწვრილებით და დეტალურად უნდა განისაზღვროს.
- საჭიროა დაცვისა და დახმარების სისტემით სარგებლობის მხარდაჭერა და უზრუნველყოფა.
- ეფექტური რეფერალური სისტემის მექანიზმის საფუძველს გამჭვირვალობა და პასუხისმგებლობათა ზუსტი გადანაწილება წარმოადგენს.

6. დაცვის და ეროვნული რეფერალური მექანიზმი

- ♦ პროცესს გაამარტივებს მანამდე არსებული მექანიზმის ბაზაზე ახალი მექანიზმის შექმნა ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით. მიზანი მდგრადი განვითარებაა.
- ♦ საჭიროა, მექანიზმის რეგულარული გადახედვა და განახლება ბავშვთა დაცვის ეფექტურობისა და ქმედითუნარიანობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია სხვა არსებულ რეფერალურ სისტემებთან თანამშრომლობა.

მესაზღვრეს ყოველთვის ხელთ უნდა ჰქონდეს:

- ♦ აუცილებელი სერვისების საკონტაქტო მონაცემები: ბავშვთა 24 საათიანი მხარდაჭერისა და სხვა სამსახურების;
- ♦ დაცვის ყველა სამსახურისა და არსებული სახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამის (სამედიცინო, ფსიქიკური ჯანმრთელობის, საკანონმდებლო, ლოგისტიკური და ა. შ.) სრული სია, დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით.

და ბოლოს, მესაზღვრეებისთვის საჭიროა, გაიარონ ტრეინინგი, როგორ იმუშაონ დაუცველ პირებთან, სადაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ბავშვებზე.



VEGA სახელმძღვანელო: ბავშვები აეროპორტებში

7. ლექსიკონი



7. ლექსიკონი

- APIS** მგზავრების შესახებ წინასწარი საინფორმაციო სისტემა
- I-24/7** ინტერპოლის კონტროლის სისტემა
- ILO** შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
- IOM** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- NGO** არსამთავრობო ორგანიზაცია
- NRM** ეროვნული რეფერალური მექანიზმი
- NSIS** შენგენის ეროვნული საინფორმაციო სისტემა
- PNR** მგზავრების რეგისტრაციის ჩანაწერი
- SBC** შენგენის სასაზღვრო კოდექსი
- UNCRC** გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია (1990)
- UNCRSR** გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ (1951)
- UNODC** გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო
- UAM** ბავშვი თანმხლების გარეშე



ევროპის მოედანი 6
00-844 ვარშავა, პოლონეთი
ტელ. +48 22 205 95 00
ფაქსი +48 22 205 95 01

frontex@frontex.europa.eu
www.frontex.europa.eu

საბეჭდი ვერსია:
OPOCE კატალოგის ნომერი
TT-02-17-558-KA-C
ISBN 978-92-95213-48-7
doi:10.2819/1

PDF:
OPOCE კატალოგის ნომერი
TT-02-17-558-KA-N
ISBN 978-92-95213-55-5
doi:10.2819/507326